



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



28/09/2018

51-07-4-201809281240



N 51

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №51  
2018 წლის 28 სექტემბერი  
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „სპორტული ცენტრი“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „სპორტული ცენტრი“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის N10 დადგენილებაში (ვებგვერდი 01/03/2016; სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.112.016261) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „სპორტული ცენტრი“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები

გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 6.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „სპორტული ცენტრისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა კვების თანხის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგს ახორციელებს მერი უშუალოდ ან განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
ვლადიმერ ნანაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო